



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია და
მისი შესაძლო გავლენა საქართველოზე

თორნიკე ზურაბაშვილი

66

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

თორნიკე ზურაბაშვილი

**რუსეთის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია და
მისი შესაძლო გავლენა საქართველოზე**

66

2016



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9290-9

„გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის ეროვნული ინტერესია ... რუსეთის ფედერაციის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ზესახელმწიფოს (держава), სტატუსის გამყარება ... მრავალპოლუსიანი სამყაროს პირობებში“. რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგიის ეს პუნქტი ზედმინევენით კარგად ასახავს მთლიანი დოკუმენტის სულისკვეთებას და თანამედროვე რუსეთის მზარდი ამბიციების ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენს.

შესავალი

2015 წლის 31 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინმა ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგიის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2009 წლის 12 მაისის ეროვნული უსაფრთხოების ანალოგიური დოკუმენტი, რომელიც საქმიანობას 2020 წლამდე განსაზღვრავდა. სტრატეგიის განახლებაზე მუშაობა 2015 წლის ივლისიდან მიმდინარეობდა და მას რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭო უძღვებოდა.

სტრატეგიის გადახედვის საჭიროება რომ კანონის მოთხოვნის შესრულებით უფრო იყო ნაკარნახევი,¹ ვიდრე რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირეული ცვლილებებით, მკითხველისთვისაც არ დარჩება შეუძინეველი. ახალ სტრატეგიაში ზოგი რამ ძველი სტრატეგიის, ზოგი კი, რუსეთის ხელისუფალთა მიერ არაერთხელ ნათქვამის გამეორებაა. ამის მიუხედავად, დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას ქმნის თანამედროვე რუსეთის თვითმეფასების, ხედვებისა და გეგმების შესახებ, რითაც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს კრემლის განზრახვების უკეთ აღქმას. ეს კი ორმაგად მნიშვნელოვანია რუსეთის მზარდი საგარეო-პოლიტიკური ამბიციების ფონზე.

უსაფრთხოების სტრატეგია ყურადსაღებია საქართველოსთვისაც – დოკუმენტი ქვეყანასთან დაკავშირებულ რამდენიმე ისეთ პუნქტს მოიცავს, რომელიც შესაძლოა პირდაპირ ან ირიბ საფრთხედ გადაიქცეს როგორც მის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, ისე დანარჩენი საქართველოსთვისაც. ამრიგად, დოკუმენტის „თბილისის თვალთ“ გაანალიზება ერთიორად მნიშვნელოვანი და საშუალო საქმეა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ანგარიში. მასში მიმოხილულია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ძირითადი აქცენტები და მათი შესაძლო გავლენა საქართველოზე.

შედარების მიზნით კვლევის პროცესში გაანალიზდა რუსეთის ფედერაციის 2009 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და 2014 წლის სამხედრო დოქტრინაც. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კვლევით მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ რუსეთისგან მომდინარე გამონგვევებისა და საფრთხეების სწორად გააზრებაში.

სტრატეგიის ზოგადი სურათი

დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს „რუსეთის ფედერაციის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის გაძლიერებას, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო პრესტიჟის მიღწევას“. უფრო კონკრეტულად კი, რუსეთის ეროვნული ინტერესებია:

- ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება, კონსტიტუციური წყობის, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, სახელმწიფოსა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- ეროვნული თანხმობის, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის გაძლიერება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთქმედების მექანიზმების სრულყოფა;
- ცხოვრების დონის ამაღლება, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ქვეყნის სტაბილური დემოგრაფიული განვითარების უზრუნველყოფა;
- კულტურისა და ტრადიციული რუსული სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნება და განვითარება;
- ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- რუსეთის ფედერაციის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ზესახელმწიფოს (держава), სტატუსის გამყარება, რომლის ქმედებები მიმართულია სტრატეგიული სტაბილურობისა და ურთიერთსასარგებლო პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნებაზე მრავალპოლუსიანი სამყაროს პირობებში“.

საგულისხმოა, რომ მოქმედი სტრატეგია, 2009 წლის ანალოგიურ დოკუმენტთან შედარებით, გაცილებით უფრო კონცენტრირებულია საშინაო საკითხებზე (განსაკუთრებით ეკონომიკაზე).

რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ სტრატეგიის დასაწყისშივეა აღნიშნული და დოკუმენტის მომდევნო თავებსაც ფონად გასდევს. სტრატეგიის მიხედვით, რუსეთის ეკონომიკა გაუმკლავდა გლობალურ არასტაბილურ გარემოს და „ზოგიერთი ქვეყნის მიერ შემოღებულ შემზღულდავ ეკონომიკურ ზომებს“. ამის მიუხედავად, მწვავე პრობლემად რჩება ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა, საგარეო ფაქტორებზე დამოკიდებულება და რეგიონების უთანაბრო განვითარება. რუსეთი განსაკუთრებით შეწუხებულია არსებული ვითარებით და ამ პრობლემის გადაწყვეტის გზად ძირითადად შიგა რესურსების მობილიზება ესახება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ეკონომიკური გეგმები რამდენადმე მოკრძალებულია – მაშინ, როცა 2009 წლის უსაფრთხოების სტრატეგიით, მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლით მსოფლიოს „ნამყან სახელმწიფოთა ხუთეულში“ შესვლა იგეგმებოდა, მოქმედი სტრატეგია მხოლოდ „ნამყან სახელმწიფოთა“ რიგებში შესვლას თანხმდება.

რუსეთს განსაკუთრებით აღელვებს შიგა არასტაბილურობაც. ამ მხრივ საფრთხეს წარმოადგენს როგორც ტერორიზმის გავრცელება, ისე სხვა ექსტრემისტული ორგანიზაციების საქმიანობაც. ამ ორგანიზაციების მიზანი რუსეთის სახელმწიფოებრიობის „მოშლა“ და „შიდა პოლიტიკურ-სოციალური ვითარების დაძაბვა“ არასტაბილურობის კონტექსტშივეა საუბარი „ფერად რევოლუციებზეც“, რომლებიც „რადიკალური საზოგადოებრივი გაერთიანებების, უცხოური და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ფინანსური და ეკონომიკური სტრუქტურებისა და კერძო პირების“ ორგანიზებულია და მიზნად ისახავს რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ქვეყანაში არეულობის გამონეგვას.

მიზნის მისაღწევად ეს ჯგუფები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ და ამ გზით აღვივებენ „ფაშიზმს, ექსტრემიზმს, ტერორიზმსა და სეპარატიზმს“. პრობლემასთან გასამკლავებლად კრემლი დანაშაულთან ბრძოლაში სახელმწიფოს როლის გაზრდას ხედავს, მათ შორის მოიაზრება რუსეთის მოქალაქეების საზღვარგარეთ დანაშაულებრივ და ტერორისტულ დაჯგუფებებში მონაწილეობის წინააღმდეგ გასატარებელი ზომები“ და მოსახლეობის „საინფორმაციო ზეგავლენისგან“ დაცვა.

„საგარეო იდეურ-ღირებულებითი ექსპანსიისგან და დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზეგავლენისგან“ რუსული საზოგადოების დაცვის მიზნით მოხდება „საინფორმაციო სფეროს კონტროლი და ექსტრემისტული, ძალადობრივი, რასობრივი, რელიგიური და ერთაშორისი შეუწყნარებლობის შინაარსის შემცველი პროდუქციის აკრძალვა“. პარალელურად განვითარდება „საინფორმაციო ინფრასტრუქტურა,“ რომელიც „საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი საკითხების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს“.

თვალშისაცემია სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების ეროვნული ინტერესის ნუსხაში შეყვანაც. რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში ტრადიციულ ღირებულებებზე აქცენტის გაკეთება არახალია; „ტრადიციულ ღირებულებებზე“ და „სულიერებაზე“ ლაპარაკი 2009 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაშიც და 2014 წლის სამხედრო დოქტრინაშიც გვხვდება. თუმცა, 2015 წლის დოკუმენტში „სულიერ-ზნეობრივ ღირებულებებს“ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და სახელმწიფოს ერთიანობისა და რუსეთის ხალხების შემაკავშირებელ ფაქტორად გვევლინება. ეს ღირებულებები საფრთხეშია, როგორც „გარე კულტურულ-საინფორმაციო ექსპანსიის“, ისე ექსტრემისტული იდეოლოგიის გამო. პარადოქსულია, რომ ამ მოწოდებების მიუხედავად, უცვლელი რჩება 2009 წლის ანალოგიური პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „მკვიდრი მოსახლეობისა და შრომითი მიგრანტების (მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეების) ინტერესებს შორის ბალანსი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეთნიკური, ენობრივი, კულტურული და კონფესიური განსხვავებების გათვალისწინებით.“

უცვლელი რჩება რუსეთის სურვილი – გახდეს მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ზესახელმწიფო „მრავალპოლუსიანი სამყაროს პირობებში.“ სტრატეგიის თანახმად, რუსეთმა გამოაჩინა „სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, სახელმწიფოსა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა უფლებების დაცვის“ უნარი, გაიზარდა „უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემათა გადანყვეტაში, სტრატეგიული სტაბილურობისა და საერთაშორისო სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფაში“ რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა. ამის მიუხედავად, რუსეთს არ აკმაყოფილებს მიღწეული შედეგები და მზადაა კიდევ უფრო აამაღლოს თავისი „კონკურენტუნარიანობა და

საერთაშორისო პრესტიჟი“. ამ ყველაფრის მიღწევას კი კრემლი, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში აქტიურობით აპირებს. ყურადღება განსაკუთრებით არის გამახვილებული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან და აზიის ქვეყნებთან მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატებზე. გაძლიერდება ორმხრივი ურთიერთობები ჩინეთთან და ინდოეთთან. გაგრძელდება დასავლეთთან ურთიერთობაც, ოღონდ რუსეთისთვის ხელსაყრელი პირობებით.

თავდაცვის საკითხებს, ერთი შეხედვით, დოკუმენტში სათანადო ყურადღება არ ექცევა, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ ეს მიმართულება 2014 წლის სამხედრო დოქტრინაში ვრცლად არის წარმოდგენილი. საინტერესოა ისიც, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა კვლავ ეროვნულ ინტერესად მოიხსენიება. თუმცა, 2009 წლის მსგავსად, ეს საკითხი დოკუმენტის სხვა ადგილებში არ იძებნება.

საქართველოსთან დაკავშირებული პუნქტები

კვლევის ანგარიშის ამ ნაწილში მიმოხილულია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ზოგიერთი პუნქტის შესაძლო გავლენა საქართველოზე. ქვეთავებში თავმოყრილია როგორც პირდაპირი და ირიბი საფრთხის შემცველი პუნქტები, ისე ისეთები, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენენ, მაგრამ გავლენას იქონიებენ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ საქართველო სტრატეგიაში პირდაპირ არ მოიხსენიება. არც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ იძებნება რაიმე კონკრეტული გეგმა. „რესპუბლიკა აფხაზეთი და რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში განიხილება (დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის თაობაზე საუბრისას) და ისიც – დამატებითი დაზუსტებების გარეშე.²

ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, ევროპულ კავშირთან და ნატოსთან

სტრატეგიის საკმაოდ დიდი ნაწილი რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს ეთმობა და ამ ურთიერთობებში აქცენტი უფრო მეტად აზრთა სხვადასხვაობასა და დაპირისპირების მიზეზებზე კეთდება, ვიდრე მოგვარების გზებზე. თვალშისაცემია ისიც, რომ დოკუმენტში ე.წ. „ისლამური სახელმწიფოსგან“ მომდინარე

საფრთხეები გაცილებით უფრო მეორეხარისხოვნად არის გაშუქებული, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისგან და ნატოსგან მომდინარე საფრთხეები.³

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „მსოფლიო პოლიტიკაში დომინირების შენარჩუნების მიზნით“ რუსეთის „დამოუკიდებელ“ საგარეო და საშინაო პოლიტიკას დასავლეთის ქვეყნები (უპირველეს ყოვლისა კი, ამერიკის შეერთებული შტატები) პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ინფორმაციული ზენოლით პასუხობენ.

სტრატეგიის თანახმად, საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის ნატოსა და ევროკავშირზე დაფუძნებული „ბლოკური“ მიდგომა ველარ ამართლებს და ამის დასტურად აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ევროპაში მიგრაციული პროცესები მოჰყავს. დოკუმენტის მიხედვითვე, გლობალური და რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნება ევროპაში, აზია-წყნარ ოკეანეთის რეგიონში და ახლო აღმოსავლეთში „საგრძნობლად მცირდება“ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსების, „გლობალური დარტყმის“ შესაძლებლობის რეალიზაციისა და მაღალი სიზუსტის არაბირთვული იარაღის განლაგების ფონზე.

საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო პოტენციალის ზრდას და მის „გლობალური ფუნქციებით აღჭურვას“, ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა სამხედრო საქმიანობის გააქტიურებას, მის შემდგომ გაფართოებასა და სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მიახლოებას კრემლი ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ (უროზა) განიხილავს. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელს 2014 წლის სამხედრო დოქტრინაში გაცილებით უფრო ნაკლები სიმძაფრის სამხედრო საშიშროების (опасность) ხარისხი მიენიჭა, ხოლო 2009 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში მხოლოდ „მიუღებლად“ მოინათლა.

უთანხმოების მიუხედავად, რუსეთი არ გამორიცხავს სხვადასხვა სფეროში დასავლეთთან ფართო თანამშრომლობას. რუსეთი ემხრობა ევროპის ქვეყნებთან და ევროკავშირთან ურთიერთ-სასარგებლო თანამშრომლობის გაძლიერებას და ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების „ჰარმონიზაციის“ სურვილს გამოთქვამს.

კრემლი, ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების ღია სისტემის შექმნის მიზნით, მზადაა ნატოსთან ურთიერთობაც „თანასწორობის საფუძვლებზე“ განავითაროს. ამის წინაპირობად

კი ორგანიზაციის მიერ „სამხედრო-პოლიტიკურ დაგეგმვაში რუსეთის ფედერაციის კანონიერი ინტერესების“ გათვალისწინებას მიიჩნევს. რუსეთი დაინტერესებულია აშშ-სთან „სრულფასოვანი პარტნიორობით“ და ამ ურთიერთობას „საზიარო ინტერესების“ საფუძველზე ხედავს, მათ შორის – ეკონომიკურ სფეროში. თუმცა, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის უმთავრეს მიმართულებად მაინც სამხედრო სფეროს განიხილავს, კერძოდ კი, მასობრივი იარაღის გაუფრცვლებლობას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებას და რეგიონული კონფლიქტების მოგვარებას.

აღსანიშნავია ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით სტრატეგიაში გამოთქმული აზრი, რომ რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებში აშშ-ის „სამხედრო-ბიოლოგიური“ ხასიათის ლაბორატორიების ქსელი ფართოვდება. დიდი ალბათობით, ამ ლაბორატორიებში იგულისხმება უკრაინაში, ყაზახეთსა და საქართველოში მდებარე ბიოლოგიური უსაფრთხოების კვლევითი ლაბორატორიები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ეს საკითხი არც ვრცლადაა მიმოხილული და არც რაიმე შეფასებაა წარმოდგენილი, მისი ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების კონტექსტში ხსენება მაინც საყურადღებოა.

მთლიანობაში, სტრატეგიაში ამერიკა და მისი მოკავშირეები გლობალური უსაფრთხოების მთავარ დამრღვევებად გვევლინებიან, ცდილობენ შეამცირონ რუსეთის გავლენა და წინ აღუდგნენ მის ზესახელმწიფოდ გადაქცევას. ამ ყველაფრის მიუხედავად, რუსეთი არ გამოორიცხავს სხვადასხვა სფეროში მათთან თანამშრომლობას, თუმცა ამის წინაპირობა საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთის წამყვანი როლის, ზოგან კი, ექსკლუზიური უფლებების აღიარებაა, განსაკუთრებით – მის სამეზობლოში.

რუსეთის გეგმები პოსტსაბჭოთა სივრცეში

უსაფრთხოების სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რომელსაც გამოარჩევს როგორც ევროატლანტიკური, ისე აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონებისგან და მას ევრაზიულ „სივრცედ“ ან „რეგიონად“ მოიხსენიებს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რუსეთის ფედერაციის ექსკლუზიური უფლებების გავრცელების სურვილი არახალია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი რეგიონული დაყოფა 2009 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში საერთოდ არ გვხვდება.

არსებული ვითარების მიმოხილვის ნაწილში რუსეთი ღიად აცხადებს, რომ „მზარდი საერთაშორისო არასტაბილურობის პასუხად სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარი რეგიონების საქმეებზე“. სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ დასავლეთის „ევრაზიული ინტეგრაციის“ საწინააღმდეგო პოზიცია უარყოფითად აისახება რუსეთის ეროვნულ ინტერესებზე და რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისაგან მზარდაჭერილმა „ანტიკონსტიტუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ“ უკრაინული საზოგადოება შეიარაღებულ კონფლიქტამდე და განხეთქილებამდე მიიყვანა. უკრაინის „ევრაზიული ინტეგრაციის“ კონტექსტში ხსენება არცთუ უჩვეულო მოვლენაა; რუსეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს „საკუთარ“ რეგიონად მიიჩნევს და კვლავაც განაგრძობს ამ ქვეყნების დასავლური არჩევანის უგულვებელყოფას.

სტრატეგიაში განმარტებულია, რომ დსთ-ის ქვეყნებთან, „რესპუბლიკა აფხაზეთთან და რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთთან“ ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს. რუსეთი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის, ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა და რუსეთ-ბელარუსის კავშირის ფარგლებში მიმდინარე ინტეგრაცია „დსთ-ის სივრცეში“ მასტაბილიზებელ როლს ასრულებს და მომავალშიც გააგრძელებს „რეგიონულ და ქვერეგიონულ ინტეგრაციასა და კოორდინაციას“.

სტრატეგიაში ლაპარაკია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის „თვისებრივ განვითარებაზე“. სტრატეგიის მიხედვით, გაერთიანება უნდა იქცეს „უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელსაც შეეძლება გაუმკლავდეს სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის რეგიონულ გამოწვევებსა და საფრთხეებს, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმს და ექსტრემიზმს, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვას, არალეგალურ მიგრაციას, აგრეთვე, საფრთხეებს საინფორმაციო სფეროში“. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში ორგანიზაცია მხოლოდ „მთავარ მთავრობათაშორის ინსტრუმენტად“ მოიხსენიება და მისი „უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციად“ გარდაქმნის სურვილი კრემლის საკმაოდ ამბიციურ გეგმებზე მიუთითებს.

დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მნიშვნელობაც და აღნიშნულია, რომ კავშირის შექმნით „ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციის ახალი ეტაპი დაიწყო“. რუსეთი ამ მხრივაც აპირებს ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას. მაშინ, როცა 2009 წლის სტრატეგიაში ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობა მხოლოდ საერთო ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული და სამრეწველო პროექტების რეალიზაციის საშუალებად განიხილებოდა, მიმდინარე დოკუმენტში გაცილებით ამბიციური გეგმებია წარმოდგენილი. სტრატეგიის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ და საინვესტიციო პროექტებთან ერთად უნდა მოხდეს ე. წ. „ოთხი თავისუფლების“ – ტვირთების, მომსახურებს, კაპიტალისა და შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში ნატოსა და ევროკავშირის მსგავსი სამხედრო და ეკონომიკური გაერთიანებების შექმნა და ამ ორგანიზაციების მეშვეობით დასავლური სტრუქტურების რუსეთთან მიახლოების შეჩერება და რეგიონში კრემლის უპირობო ბატონობის დაკანონება სურს.

ამ ფონზე ნათელია საქართველოსთვის არსებული საფრთხე, როგორც ქვეყნისთვის, რომელიც დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ესწრაფვის, მაგრამ რომელსაც კრემლი „ევრაზიული სივრცის“ განუყოფელ ნაწილად განიხილავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მომავალშიც არ დაიშურებს საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საწინააღმდეგო ძალისხმევას და ყველანაირად ეცდება თბილისის ევრაზიულ დროზე „მომართვას“.

რუსეთის სულიერ-ტრადიციული ღირებულებები და ევრაზიული ინტეგრაცია

საქართველოსთვის ყურადსაღები მოსაზრებებია გამოთქმული სტრატეგიის კულტურის ნაწილშიც. დოკუმენტში არაერთხელ არის ნახსენები რუსეთის ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნებისა და განვითარების საკვანძო მნიშვნელობა. რუსეთის „სულიერ-ზნეობრივი“ ღირებულებები ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ერთიანობის საფუძვლად და რუსეთის ხალხების შემაკავშირებელ ფაქტორად გვევლინება. ამ ღირებულებებს მიეკუთვნება „სულიერის ნივთიერზე უპირატესობა, ადამიანის სიცოცხლის,

უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, ოჯახი, შემოქმედებითი საქმიანობა, სამშობლოსადმი მსახურება, ზნეობრივი ნორმები, ჰუმანიზმი, სიქველე, სამართლიანობა, ურთიერთდახმარება, კოლექტივიზმი, რუსეთის ხალხების ისტორიული ერთიანობა, სამშობლოს ისტორიის განგრძობადობა“.

მართალია, რუსეთის „სულიერი-ზნეობრივი“ ღირებულებების უწინარესი დანიშნულება საშინაო – „რუსეთის ხალხთა საერთორუსული იდენტობისა და საერთო კულტურული სივრცის შენარჩუნება და განვითარება“, მაგრამ სტრატეგიაში არანაკლები ყურადღება ექცევა მის როლს რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში. ამის დასტურია ის, რომ კულტურის სფეროში ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების ერთ-ერთ გზად რუსეთი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნებში და მიმდებარე რეგიონებში საერთო ჰუმანიტარული და ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური გარემოს“ შექმნას განიხილავს.

საგულისხმოა რუსული ენის საკითხიც. „მსოფლიოში რუსული ენის როლისა და საზღვარგარეთ მისი სწავლების ხარისხის შემცირებას“ რუსეთი კულტურის სფეროში ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ განიხილავს, რუსული ენის სათანადო სწავლებას კი, „პოსტსაბჭოთა სივრცეში „ინტეგრაციული პროცესების განვითარების საფუძვლად“ და საზღვარგარეთ მცხოვრებ „თანამემამულეთა“ ენობრივი და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად მოიაზრებს. „ევრაზიული ინტეგრაციის პროცესების დაჩქარების მიზნით“ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში რუსული ენისა და კულტურის სწავლების წამახალისებელი პროგრამებისა და „ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისების“ ექსპორტი იგეგმება. კრემლის სურვილია მსოფლიოს საგანმანათლებლო ბაზარზე რუსულ ენაზე მიღებული განათლების „მიმზიდველობის“ გაზრდაც.

„საერთო ჰუმანიტარული და ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური გარემოს“ და „რუსული ენისა და კულტურის სწავლების წახალისების პროგრამების“ მიზანი ნათელია – შექმნას იდეოლოგიური წინაპირობები ევრაზიული ეკონომიკური კავშირისთვის, რათა ამ უკანასკნელმა ევროპული კავშირის საპირწონე, საერთო იდეებზე დაფუძნებულ, გაერთიანებად ჩამოყალიბება შეძლოს.

ამის გათვალისწინებით, საქართველოსთვის არსებული გამონგევა შემდეგია – რუსეთის ისედაც მზარდი საინფორმაციო

ექსპანსია კიდევ უფრო გაძლიერდება და მის ძირითად მახასიათებლად, ანტიდასავლურ გზავნილებთან ერთად, რუსული „სულიერ-ზნეობრივი“ ღირებულებების უპირატესობაზე აქცენტირება იქცევა. პარალელურად გაძლიერდება რუსული ენის სწავლების წამახალისებელ და სხვა კულტურულ და აკადემიურ ღონისძიებებში საქართველოს ჩართვის მცდელობები.

თანამემამულეთა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვა

სტრატეგიის თანახმად, საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა „უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანად დაცვა“ სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. დოკუმენტის მიხედვითვე, რუსეთმა საზღვარგარეთ მცხოვრებ „თანამემამულეთა“ უფლებების დაცვის უნარი გამოიჩინა, რაშიც, სავარაუდოდ, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებული საომარი კამპანია იგულისხმება. ამ საკითხის წამოწვევით რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კვლავ გააგრძელებს მოქალაქეთა და „თანამემამულეთა“ თემის საგარეო ურთიერთობებში გამოყენებას და სასურველი შედეგის მისაღებად ხისტი ზომების მიღებასაც არ მოერიდება. ეს კი განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის მეზობლად მდებარე ქვეყნებისათვის, მათ შორის, საქართველოსთვის.

ოკუპირებული ტერიტორიები, სასაზღვრო და საზღვრისპირა თანამშრომლობის საკითხები

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე „მალტექნოლოგიური და მრავალფუნქციური კომპლექსები და სისტემები განთავსდება,⁴ გაიზრდება სასაზღვრო სამსახურის ეფექტიანობა“. საუბარია საზღვრის „საერთაშორისო სამართლის წესებით გაფორმების“ გააქტიურებაზეც. ამ ყველაფერში, დიდი ალბათობით, იგულისხმება როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვარი დანარჩენ საქართველოსთან, ისე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთები. ამ უკანასკნელის დასტურია ის, რომ 2016 წლის 26 აპრილს დამტკიცდა „რუსეთის ფედერაციასა და რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ შეთანხმება, რომელიც „რუ-

სეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვრის“ დემარკაციასაც ითვალისწინებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საზღვრის „გაფორმება“ განხორციელდება საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა მონაკვეთზეც. გაგრძელდება „ბორდერიზაციის“ პროცესიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებთან დაკავშირებით სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ რუსეთი ამ განხრით განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებულ სალიკვიდაციო ღონისძიებებში მონაწილეობას და დაზარალებული ქვეყნებისთვის ჰუმანიტარული დახმარების განწევას. აღნიშნული პუნქტი საყურადღებოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის თვალსაზრისით. იმის გათვალისწინებით, რომ წარსულში არაერთხელ ყოფილა რუსეთის მიერ ჰუმანიტარული დახმარების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შემთხვევები (მათ შორის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარების მიღების მიზნით კარიბის ზღვის და ოკეანეთის ქვეყნებში), აღნიშნული პუნქტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

დოკუმენტში ასევეა მითითებული, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე ეკოლოგიური რისკების შემცირების მიზნით გაიზრდება საერთაშორისო თანამშრომლობა. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ყაზბეგის რაიონის მონაკვეთზე ეკოლოგიური რისკები საკმაოდ მაღალია, რუსეთმა შესაძლოა თანამშრომლობის საკითხი დააყენოს. აღნიშნული პუნქტი საკმაოდ ფართო და ბუნდოვანია იმისათვის, რომ შემფოთების საგნად იქცეს, თუმცა ეს საკითხი საქართველოს მხარემ მაინც უნდა მიიღოს მხედველობაში.

შეჯამება

სახელმწიფოს გეგმების მაღალი სიზუსტით განჭვრეტა საკმაოდ რთული ამოცანაა, განსაკუთრებით ისეთი არაპროგნოზირებადი მოთამაშისა, როგორსაც პუტინის რუსეთი წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ერთი რამ ნათელია – პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰეგემონობის სურვილით შეპყრობილი კრემლი კვლავაც განაგრძობს საკუთარი ინტერესების თვითნებურად გატარებას და მეზობელი ქვეყნებისათვის თავსმოხვევას. სასურველი შედეგის მისაღებად რუსეთი საქართველოშიც არ დაიშურებს ძალისხმევას, კერძოდ:

- გაგრძელდება საქართველოს ნატოში და ევროპულ კავშირში ინტეგრაციის სანინაღმდეგო ქმედებები. პარალელურად გაძლიერდება თბილისის ევრაზიულ კავშირში შეყვანის ეკონომიკური და პოლიტიკური მცდელობები;
- გაძლიერდება საინფორმაციო ზეგავლენა და მის ძირითად მახასიათებლად, ანტი-დასავლურ გზავნილებთან ერთად, რუსულ „სულიერ-ზნეობრივ“ ღირებულებებზე აქცენტირება იქცევა;
- განხორციელდება რუსული ენის სწავლების წამახალისებელ პროგრამებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში საქართველოს ჩართვის მცდელობები;
- გაგრძელდება რუსეთ-საქართველოს საზღვრის ოკუპირებული მონაკვეთების „საერთაშორისო სამართლის წესებით გაფორმების“ და ადმინისტრაციულ საზღვრებზე ბორდერიზაციის პროცესი;
- გაგრძელდება რუსეთის მოქალაქეთა და „თანამემამულეთა“ საკითხის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებში გამოყენება, მათ შორის, საქართველოსთან;
- გაგრძელდება რუსეთის ფედერაციის საზღვრების გამაგრება და ტექნიკური აღჭურვა, მათ შორის, მაღალტექნოლოგიური და მრავალფუნქციური კომპლექსებისა და სისტემების განთავსება;
- გაგრძელდება ჰუმანიტარული დახმარების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების პრაქტიკა, მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საერთაშორისო აღიარების მიღების მიზნით.

შენიშვნები

1. რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ კანონის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ყოველ ექვს წელიწადში გადაიხედება.
2. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონები 2009 წლის სტრატეგიაში საერთოდ არ მოიხსენიება.
3. დოკუმენტში ე. წ. „ისლამური სახელმწიფო“ მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ნათქვამია, რომ ამ ტერორისტული ორგანიზაციის გავლენის გაძლიერებაში „ზოგიერთი ქვეყნის ორმაგი სტანდარტია დასადასამაულებელი“.
4. სასაზღვრო კომპლექსებზე საუბარი 2009 წლის სტრატეგიაშიც იყო, კერძოდ კი, რუსეთის ფედერაციის საზღვრების შესახებ ყაზახეთთან, უკრაინასთან, საქართველოსა და აზერბაიჯანთან.